სარჩელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელე: *შენიშვნა-1*

ირაკლი კაპანაძე	01030012345	ქალაქი თბილისი, ილურის ქუჩა 1, ბინა 2
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-2*

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3*	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

		599123456		irk@gmail.com
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი: *შენიშვნა-4*

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე: *შენიშვნა-5*

საქართველოს პრეზიდენტი		ქალაქ თბილისი, გიორგი ათონელის ქუჩა 25 (საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია)
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-6*

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

		+995 32 228 88 88		info@president.gov.ge
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-7*

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

	სახით:
დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-9*	

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-10

დავის საგანი

შენიშვნა-11

ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის - საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების "საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ" ბათილად ცნობა.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

შენიშვნა-12

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

შენიშვნა-13

2025 წლის 21 ივლისს ირაკლი კაპანაძემ, რუსეთის ფედერაციის მოქალაქემ მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების თხოვნით. მიმართვის შემდეგ, სააგენტომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება და საკითხი გადაეცა მოქალაქეობის საკითხთა კომისიას.

2025 წლის 22 აგვისტოს კომისიამ (სხდომის ოქმი №1234) გადაწყვიტა ირაკლი კაპანაძე მიეწვია გასაუბრებაზე საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის 21 -ე მუხლით გათვალისწინებული პირობის დასადგენად.

2025 წლის 3 ოქტომბერს კომისიამ (სხდომის ოქმი №12345) განიხილა საქმე არსებითად და დაადგინა, რომ ირაკლი კაპანაძე არ აკმაყოფილებს საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების კანონით დადგენილ პირობებს.

2025 წლის 4 ოქტომბერს სააგენტომ მოამზადა უარყოფითი დასკვნა №1001012345, რომლის მიხედვითაც ირაკლი კაპანაძის მიმართ არ არსებობს საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებისათვის საჭირო პირობა და დასკვნა გაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტს, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

2025 წლის 6 ოქტომბერს სააგენტომ წერილით №1001012345/2 აცნობა მოქალაქეს, რომ დასკვნა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადაიგზავნა და მოქმედი წესის თანახმად, თუ პრეზიდენტი ერთ კვირაში არ გასცემს შესაბამის სამართლებრივ აქტს, ეს ჩაითვლება მოქალაქეობის შენარჩუნებაზე უარის თქმად.

ირაკლი კაპანაძემ მოითხოვა საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება რუსეთის მოქალაქეობის პარალელურად, მაგრამ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობის საკითხთა კომისიამ დაადგინა, რომ საჭირო პირობა არ არსებობს, რის შედეგადაც მომზადდა უარყოფითი დასკვნა, რომელიც გადაეცა საქართველოს პრეზიდენტს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

2025 წლის 5 ოქტობრის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების "საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ" №123 საფუძველზე ირაკლი კაპანაძეს შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-14 *შენიშვნა-15* *შენიშვნა-16*

1. ფაქტობრივი გარემოება

2025 წლის 21 ივლისს ირაკლი კაპანაძემ მიმართა განცხადებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში საქართველოს მოქლაქეობის შენარჩუნება.

მტკიცებულება:

ა. 2025 წლის 21 ივლისის განცხადება.

2. ფაქტობრივი გარემოება

ირაკლი კაპანაძე არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, დაიბადა საქართველოში, ზესტაფონში, საშუალო განათლება მიიღო ზესტაფონში, დასაქმებული იყო ზესტაფონის ფეროში 1991 წლამდე, უმაღლესი განათლება მიიღო რუსეთში ქალაქ კრასნოდარში, ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში, ქვრივია, ჰყავს ერთი შვილი (ჟუჟუნა კაპანაძე - საქართველოს მოქალაქე) და ორი შვილიშვილი, რომლებიც ცხოვრობენ ქალაქ ქუთაისში.

მტკიცებულება:

მხარეთა - ახსნა განმარტება.

3. ფაქტობრივი გარემოება

2025 წლის 22 აგვისტოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობის საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №1234 თანახმად: საქართველო/რუსეთის მოქალაქის ირაკლი კაპანაძე (საქმის №1001012345) მიმართ საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის 211 -ე მუხლით გათვალისწინებული პირობის დადგენის მიზნით, კომისიამ გადაწყვიტა გასაუბრებაზე დაიბაროს ირაკლი კაპანაძე.

მტკიცებულება:

ა. 2025 წლის 22 აგვისტოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობის საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №1234.

4. ფაქტობრივი გარემოება

2025 წლის 3 ოქტომბერს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობის საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №12345 თანხმად: სხდომაზე განიხილეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების მსურველი პირის ირაკლი კაპანაძის მიმართ საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის 211 -ე მუხლით გათვალისწინებული პირობის დადგენა.

კომისიამ შეისწავლა საქმის მასალები, შეფასება მისცა მის ხელთ არსებულ ყველა დოკუმენტს და ინფორმაციას და მიიჩნია, რომ ირაკლი კაპანაძე არ აკმაყოფილებს საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მიღებული ინფორმაციისა და ირაკლი კაპანაძის საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების შესახებ, ადმინისტრაციული წარმოების მასალებზე დაყრდნობით, კომისიამ იმსჯელა აღნიშნული პირის მიმართ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ოგრანული კანონის 211-ე მუხლით გათვალისწინებული პირობის არსებობის შესახებ და დაადგინა, რომ საქართველო/რუსეთის მოქალაქის ირაკლი კაპანაძის (საქმის №1001012345) მიმართ არ არსებობს 211-ე მუხლით გათვალისწინებული პირობა.

მტკიცებულება:

ა. 2025 წლის 3 ოქტომბერს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობის საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №12345.

5. ფაქტობრივი გარემოება

2025 წლის 4 ოქტობრის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მიიღო დასკვნა №1001012345 - ირაკლი კაპანაძის სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების თაობაზე, რომლის თანახმად: სააგენტომ მოქალაქეობის საკითხთა კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის და "საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ" მოქალაქეობის საკითხთა კომისიის 2018 წლის 04 სექტემბრის №2 დადგენილებით დამტკიცებულიდებულების მე-19 მუხლისმე 8 პუნქტის შესაბამისად დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-19 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად მოამზადა რუსეთის ფედერაციის მოქალაქის - ირაკლი კაპანაძის საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების თაობაზე უარყოფითი დასკვნა. დასკვნა გაეგზავნოს საქართველოს პრეზიდენტს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

მტკიცებულება:

ა. 2025 წლის 4 ოქტობრის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მიიღო დასკვნა №1001012345

6. ფაქტობრივი გარემოება

2025 წლის 5 ოქტობრის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების "საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ" №123 საფუძველზე ირაკლი კაპანაძეს შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა.

მტკიცებულება:

ა. 2025 წლის 5 ოქტობრის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ამონაწერი "საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ" №123.

7. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

შენიშვნა-17 შენიშვნა-18 შენიშვნა-19

1. სასარჩელო მოთხოვნა

1. 2025 წლის 5 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების "საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ" №123, რომლის საფუძველზე ირაკლი კაპანაძეს შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა ბათილად ცნობა.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაცი-ულ სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებს და მოვალეობებს. იმისათვის, რომ აქტი მიჩნეულ იქნას ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტად, ზემო- აღნიშნული დეფინიციის საფუძველზე, ის უნდა შეიცავდეს 4 ელემენტს: გამოცემული უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგა- ნოს ღონისძიება მიმართული უნდა იყოს პირის ან პირთა შეზღუდული წრისაკენ და აწესებდეს, ცვლიდეს, წყვეტდეს ან ადასტურებდეს პირთა სამართლებრივ მდგომარეობას. სზაკ-ის 53- ე მუხლის თანახმად, 1. წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. 2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში შეიძლება მიეთითოს აგრეთვე „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებისას იქნა გამოყენებული. 3. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

თბილისის საქალაქო სასამართლო საქმეზე N3/2140-19 განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60 პრიმა მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, კანონმდებელი მითითებული მუხლის მეორე ნაწილში აზუსტებს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის ,,საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ მე-18 მუხლის თანახმად, ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება, აღნიშნული ჩანაწერის განსამარტად, პირველ რიგში, უნდა განიხილოს, ვინ არის აღნიშნული ძირითადი

უფლების სუბიექტი და ძირითადი უფლების დაცვის ფარგლები. ჩანაწერი ,,ყველას“ გულისხმობს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს, მაგრამ სუბიექტთა წრე შეზღუდულია მხოლოდ ,,მასთან დაკავშირებული საქმით“, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული ძირითადი უფლება შემოფარგლულია პირის საჯარო-სუბიექტური უფლებით. პირის სუბიექტური უფლება გულისხმობს პირის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას, თავისი ინტერესების დასაცავად სხვისგან მოითხოვოს გარკვეული ქმედების განხორციელება. აქ იგულისხმება როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური უფლების უზრუნველყოფა.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, კარგი მმართველობის შემადგენელი ნაწილია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება ხდება მხოლოდ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არის გამოკვლეული.

საქმის მასალების მიხედვით 2025 წლის 21 ივლისის განცხადება №1001012345 ირაკლი კაპანაძემ მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და რუსეთის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება მოითხოვა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში წარდგენილ იქნა ირაკლი კაპანაძეს სახელზე გაცემული რუსეთის ფედერაციის მოქალაქის პასპორტი, რომლის თანახმად ირაკლი კაპანაძე წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს, პასპორტის მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2027 წლის 14 ივნისი.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობის საკითხთა კომისიამ 03.10.2025 წ. სხდომაზე განიხილა ირაკლი კაპანაძის საკითხი. დაადგინდა, რომ ირაკლი კაპანაძე არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, დაიბადა საქართველოში, ზესტაფონში, საშუალო განათლება მიიღო ზესტაფონში, დასაქმებული იყო ზესტაფონის ფეროში 1991 წლამდე, უმაღლესი განათლება მიიღო რუსეთში კრასნოდარში. კომისიამ შეისწავლა საქმის მასალები, შეფასება მისცა მის ხელთ არსებულ ყველა დოკუმენტს და ინფორმაციას და მიიჩნია, რომ ირაკლი კაპანაძე არ აკმაყოფილებს საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მიღებული ინფორმაციისა და ირაკლი კაპანაძის საქართველოს მოქალაქეობი შენარჩუნების შესახებ, ადმინისტრაციული წარმოების მასალებზე დაყრდნობით, კომისიამ იმსჯელა აღნიშნული პირის მიმართ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ოგრანული კანონის 211 -ე მუხლით გათვალისწინებული პირობის არსებობის შესახებ და დაადგინა, რომ საქართველო/რუსეთის მოქალაქის ირაკლი კაპანაძე (საქმის №1001012345) მიმართ არ არსებობს 211 -ე მუხლით გათვალისწინებული პირობა.

დასკვნა გაეგზავნოს საქართველოს პრეზიდენტს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ინტერნეტგვერდზე sda.gov.ge და განმცხადებელს განემარტოს, რომ "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, სააგენტოს დასკვნები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს.

საქართველოს მოქალაქეების სამართლებრივ მდგომარეობას და საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და შეწყვეტის საფუძვლებს არეგულირებს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, რომლის 211 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად საქართველოს მოქალაქე შეინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას, თუ იგი სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვებამდე საქართველოს სახელმწიფოსგან მიიღებს თანხმობას საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებაზე. საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებაზე თანხმობა გაიცემა, თუ საქართველოს მოქალაქის საქართველოსთან კავშირი სარწმუნოდ იქნება მიჩნეული. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ ირაკლი კაპანაძის

მიერ მოპასუხისათვის განცხადებით მიმართვის დროისათვის - 21.07.2025 წ. უკვე ჰქონდა მიღებული რუსეთის მოქალაქეობა, თუმცა "მოქალაქეობის შესახებ" ორგანული კანონის 322 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად საქართველოს მოქალაქეს, რომლის მიმართაც საქართველოს მოქალაქეს, რომლის მიმართაც 2018 წლის 15 აგვისტომდე არ ყოფილა მიღებული გადაწყვეტილება სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შესახებ, უფლება აქვს, 2027 წლის 1 იანვრამდე მიმართოს სააგენტოს საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების მოთხოვნით. ამდენად, "მოქალაქეობის შესახებ" ორგანული კანონის 322 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მას უფლება ჰქონდა უფლებამოსილი ორგანოსთვის საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების მოთხოვნით მიემართა, რაც ქმნიდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოქალაქეობის შენარჩუნების საფუძვლების არსებობა/არ არსებობის საკითხის არსებითად განხილვის საფუძველს.

საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა კომისიის 04.09.2018 წ. №2 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტილების შესახებ დებულების“ მე-40 მუხლი ადგენს სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების საკითხის განხილვის წესს, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებაზე თანხმობა გაიცემა, თუ საქართველოს მოქალაქის სამომავლო კავშირი საქართველოსთან სარწმუნოდ იქნება მიჩნეული. საქართველოს მოქალაქის სამომავლო კავშირის საქართველოსთან სარწმუნოდ მიჩნევისას, კომისიამ შეიძლება მხედველობაში მიიღოს შემდეგი გარემოებები: ბიოგრაფიული ცნობები, რომლებიც იძლევა საქართველოს სახელმწიფოსთან პირის კავშირის შეფასების შესაძლებლობას, საქართველოში უძრავი ქონების ფლობა, საქართველოში საქმიანობა, ოჯახის წევრების სამართლებრივი კავშირი საქართველოსთან. კანონმდებლობაში ჩამოთვლილი კრიტერიუმები არ არის ამომწურავი, მოქალაქის საქართველოსთან სამომავლო კავშირის სარწმუნოების შემოწმება კომპლექსური პროცესია. მოცემულ შემთხვევში გასაჩივრებული დასკვნა და/ან ბრძანებულება არ არის დასაბუთებული, არ არის მითითებული ის გარემოებები, რაც საფუძვლად დაედო მოსარჩელის მიმართ საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებას.

გასაჩივრებული დასკვნა/ბრძანებულება თავის მხრივ ეფუძნება მოქალქეობის საკითხთა კომისიის 2025 წლის 3 ოქტომბერის სხდომის ოქმს №12345, სადაც კომისიის წევრების არაერთგვაროვანი პოზიციაა დაფიქსირებული ირაკლი კაპანაძისათვის საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების საკითხთან დაკავშირებით, რაც ადასტურებს ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საქმის გარემოებების გამოკვლევისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საჭიროებას.

რაც შეეხება 2025 წლის 6 ოქტობრის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წერილი №1001012345/2-ს სადაც მითიტებულია: ირაკლი კაპანაძე თქვენი 2025 წლის 21 ივლისის №1001012345 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენთვის საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების თაობაზე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2025 წლის 3 ოქტომბრის №1001012345 დასკვნა გადაგზავნილ იქნა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში 2025 წლის 4 ოქტომბერს. "საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ" მოქალაქეობის საკითხთა კომისიის 2018 წლის 04 სექტემბრის №2 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მოქალაქეობის საკითხის დაკმაყოფილებაზე უარის თქმად ჩაითვლება საქართველოს პრეზიდენტის მიერ სააგენტოდან წარმოდგენილი უარყოფითი დასკვნების გაცნობიდან ერთ კვირაში სამართლებრივი აქტის გამოუცემლობა. მოცემულ შემთხვევაში ირაკლი კაპანაძის საქმე არ შეუსწავლია ადმინისტრაციულ ორგანოს ისე მიიღო გადაწყვეტილება, შესაბამისად დაირღვა მოსარჩელის უფლებები.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისათვის და საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარის მოსაზრებების მოსმენა. პირის უფლება, მოსმენილი იყოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, წარმოადგენს კარგი მმართველობის მნიშვნელოვან ელემენტს. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მხოლოდ მას შემდეგ,

როდესაც მოუსმენს ყველას, ვისი უფლება ან კანონიერი ინტერესიც ამ აქტით იზღუდება პირის უფლება, წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები, შესაძლებელია როგორც წერილობით, ისე ზეპირად, ზეპირი მოსმენის გამართვისას, რაც პირდაპირ ხელს უწყობს არა მარტო დაინტერესებული პირის უფლებების დაცვას, გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები, არამედ თავად ადმინისტრაციულ ორგანოსაც ეხმარება საქმის ყველა გარემოების შესწავლა - გამოკვლევაში, რაც საბოლოოდ აისახება მის მიერ ,,ხარისხიან“ გადაწყვეტილების მიღებაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის (ბრძანებულების) ბათილად ცნობის შესახებ თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფოს უმაღლესი მიზანი და არსებობის საფუძველი არის ადამიანი, მისი ღირსება, თავისუფლება და კეთილდღეობა. სწორედ ამიტომ, კონსტიტუციის პრეამბულა ამყარებს პრინციპს, რომ სახელმწიფო ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოებაა, ხოლო მუხლი 7 განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ადამიანის ღირსეული ცხოვრების პირობები და ხელი შეუწყოს სოციალური სამართლიანობის მიღწევას. საქართველოს სახელმწიფო ინტერესია ის, რომ ეთნიკურად ქართველს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საქართველოს მოქალაქეობა. ქვეყნისთვის იქნებოდა სასარგებლო თუ პრეზიდენტი არ მოაწერს ხელს იმ ბრძანებულებებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს უწყვიტავს საქართველოს მოქალაქეობას (საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველზე).

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ვერ უზრუნველყო საქმის გარემოებათა სრული, ობიექტური და ინდივიდუალური გამოკვლევა, რითაც დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომელიც ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს მიუთითოს ის სამართლებრივი ნორმები და ფაქტობრივი საფუძვლები, რომელთა საფუძველზეც გადაწყვეტილება მიიღება. ბრძანებაში არც ერთი ნორმა არ არის მითითებული ისეთი ფორმით, რომ მის საფუძველზე შესაძლებელი იყოს უარის ობიექტური გადამოწმება.

გ თხოვთ, დააკმაყოფილოთ მოცემული სარჩელი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32- ე მუხლის პირველი ნაწილის, 33-ე, 23-ე, 22- ე მუხლების შესაბამისად და

1. ბათილად იქმეს ცნობილი 2025 წლის 6 ოქტობრის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების "საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ" №123, რომლის საფუძველზე ირაკლი კაპანაძეს შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა.

2. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

3. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-20

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-21

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-22

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-23

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-24

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?			
დიახ	☐	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	☐		

სარჩელის ფასი *შენიშვნა-25*	—	100 ლარი
სახელმწიფო ბაჟი *შენიშვნა-26*	—	100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?			დიახ ☐	არა ☒
რომელი ნორმა?				
მტკიცებულება:				
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?			დიახ ☐	არა ☒
რის საფუძველზე?				
მტკიცებულება:				
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?			დიახ ☐	არა ☒
რის საფუძველზე?				
მტკიცებულება:				
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?			დიახ ☐	არა ☒
რის საფუძველზე?				
მტკიცებულება:				
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე: 5.				

შენიშვნა-27

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?		
დიახ	☐	მტკიცებულება:
არა	☐	რადგან

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია: » რთულადგანჭვრეტადი შედეგი; » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი; » სასამართლო ხარჯები; » სასამართლოსგარეშე ხარჯები; » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?		
დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☐	რადგან

შენიშვნა-28

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
ᲓᲘᲐᲮ	☐	
ᲐᲠᲐ	☐	რადგან

შენიშვნა-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
I სხდომაში რადგან

შენიშვნა-30

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?		
ᲓᲘᲐᲮ	☐	
ᲐᲠᲐ	☐	რადგან

შენიშვნა-31

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
ᲓᲘᲐᲮ	☐	
ᲐᲠᲐ	☐	რადგან

შენიშვნა-32

ᲗᲐᲜᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲜᲣᲡᲮᲐ

დანართი

1: 2025 წლის 5 ოქტობრის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ამონაწერი "საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ" №123 (ასლი).

2: 2025 წლის 21 ივლისის განცხადება №1001012345.

3: 2025 წლის 22 აგვისტოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობის საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №1234.

4: 2025 წლის 3 ოქტომბერს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობის საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №12345.

5: 2025 წლის 4 ოქტობრის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მიიღო დასკვნა №1001012345.

6: 2025 წლის 6 ოქტობრის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წერილი №1001012345/2.

7: ირაკლი კაპანაძის რუსეთის ფედერაციის პასპორტის ასლი თარგმანით.

8: ირაკლი კაპანაძის საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი.

9: ირაკლი კაპანაძის საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი (მთავარი გვერდი).

ფურცლების საერთო რაოდენობა:

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☒	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☒	☐
5.	მითითებულია დავის საგანი.	☒	☐
6.	მითითებულია სარჩელის ფასი.	☒	☐
7.	მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	☒	☐
9.	სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☒	☐
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	☒	☐
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
13.	სარჩელი ხელმოწერილია.	☒	☐
14.	სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ირაკლი კაპანაძე	19 / 11 /2025 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი და გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.